ხელშეკრულება N127

ქ.ყვარელი 04 ივლისი 2022 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ნემსაძეს სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ
„მიმწოდებელი“ შპს ,,ელექტრონიქსი“-ს დირექტორის ვალერი ქადაგიშვილის სახით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 2 (ორი) ერთეული კონდიციონერის შესყიდვა. (CPV42500000).

2.მომსახურების მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, 2022 წლის 07 ივლისამდე.
2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2498 (ორიათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს.

3.ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის შესაძლოა განხორციელდეს ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიწოდებული საქონლის შესყიდვის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას
4.1.1. მუნიციპალიტეტის მერიას გაუწიოს ზემოთაღნიშნული საქონლის შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

4.2.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღებაჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.3.შესყიდულ საქონელზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

5. დავათა განხილვის წესი

5.1.მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

6.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში,მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

6.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.06%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოსხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულებისპირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

7.3.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუამ ცვლილებებისშედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

7.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. ფორს-მაჟორი

8.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორი გარემოებების შედეგი.

8.2.ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა“ ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3.ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 07 აგვისტომდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი:კუდიგორის ქ. N1 ს/კ 24157857	შპს ,,ელექტრონიქსი“ ს/კ 427742936 მის:ქ.ყვარელი მეურნეობის დასახლება საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ ა/ნ GE50BG0000000528130960

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი ს მ/შ

ზურაბ ნემსაძე

შპს ,,ელექტრონიქსი“ -ს დირექტორი

ვალერი ქადაგიშვილი

Valeri Kadagishvili

Подписано цифровой подписью: Valeri Kadagishvili
Дата: 2022.07.04 20:00:15 +04'00'

დანართი #1

	საქონელის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	კონდიციონერი BBFDA 120/121	2	1249	2498